საკრებულოს ეკონომიკური განვითარების,
საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების
კომისიის სხდომის

ოქმი #33

2019 წ. 26 დეკემბერი 14 საათი ქ.თბილისი, თავისუფლების მოედანი #2

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

ო.გრიგოლია, ქ.ჯოხაძე, ლ.დარახველიძე,
ლ. არველაძე, ა.ხუჯაძე, ი.ჯიშკარიანი,
ნ.რუხაძე

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო-საბიუჯეტოს, განათლებისა და კულტურის, სახელდებისა და სიმბოლიკის და სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიების წევრები.

ქ.თბილისის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ანდრია ბასილაია, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე, უფროსის მოადგილე ლევან მიქავა.

სხდომას თავმჯდომარეობდა:

კომისიის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე

სხდომის თავმჯდომარე ნ.ლაცაბიძე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის შესახებ“ (#12-0319344108-03 10.12.2019წ.)

მოისმინეს:

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძემ წარმოადგინა 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი, რომლის მიხედვითაც ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობისათვის გათვალისწინებული პრიორიტეტების ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამები დაფინანსებულია 2922,6 ათ.ლარით. მათ შორის:

ბიზნესის სტიმულირება (კოდი : 04 01) - დაფინანსდება 1561.5 ათასი ლარით;

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება 2018 წელს ევროკავშირის გრანტის ფარგლებში მცირე და საშუალო ზომის კომპანიების განვითარების ხელშეწყობის მიზნით შექმნილი ბიზნეს აქსელერატორი - 384592 ლარი; ბიზნესის მხარდაჭერა ადგილობრივ გამოფენებში - 195408 ლარი; გრანტის ფარგლებში აყვანილი თანამშრომლების ანაზღაურება - 298000 ლარი;

ინოვაციური იდეების კონკურსი დამწყები ბიზნესებისათვის - 63500 ლარი;

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების საერთაშორისო ფორუმი - 130000 ლარი;

გამოფენა-გაყიდვა „თბილისური ბაზარი"-ს მოწყობა - 490000 ლარი;

თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები (კოდი: 04 03) - დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით;

თბილისის საინვესტიციო და ტურისტული შესაძლებლობების წარმოსაჩენად საინფორმაციო-საინვესტიციო კატალოგების და ტურისტული ბროშურების და კატალოგების ბეჭდვა - 50000 ლარი;

დამწყები და მცირე ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობის კვლევა - 200000 ლარი;

თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში (კოდი: 04 04) - 116.1 ათასი ლარით;

ევროპის მთავარ ქალაქთა ქსელის საწევრო - 16100 ლარი;

საერთაშორისო და ადგილობრივ ღონისძიებებში მონაწილეობა/ორგანიზება - 70000 ლარი;

საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ასოციაციებში თბილისის გაწევრიანება - 30000 ლარი;

თბილისში შემომყვანი ტურიზმის მხარდაჭერა (კოდი : 04 08) – 610.0 ათასი ლარით;

თბილისის ტურისტული პოტენციალის შესწავლა – 90000 ლარი;

ტურიზმის სექტორის ბეჭდური და ციფრული გამოცემების ჟურნალისტების, ბლოგერების და ტურისტული ასოციაციების წარმომადგენლების თბილისის ტურისტული პოტენციალის შესასწავლად მოწვევის ხარჯები – 190000 ლარი;

სექტორულ ასოციაციებში და guide book-ებში თბილისის გაწევრიანება - 30000 ლარი;

ინდუსტრიის წარმომადგენლებისათვის თემატური ტრეინინგების ორგანიზება (მათ შორის მენტორის ტრეინინგი) – 30000 ლარი;

დედაქალაქის ტურიზმის სტრატეგიის შემუშავება - 150000 ლარი;

ადგილობრივი თემატური ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება, მათ შორის შეხვედრების ტურიზმის ინდუსტრიის წარმომადგენლებთან - 40000 ლარი;

ადგილობრივ თემატურ გამოფენა/ღონისძიებების ორგანიზება/თანაორგანიზება - 80000 ლარი;

ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია (კოდი: 04 09) – 385.0 ათასი ლარით;

საინვესტიციო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება და თანაორგანიზება/თანაორგანიზება და მონაწილეობის მიღება - 50000 ლარი; შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან, ეკონომიკური განვითარების სამსახურის დაგეგმილი პროექტების გაცნობა/პრეზენტაცია ადგილობრივი და საერთაშორისო ინვესტორებისთვის – 15000 ლარი;

ახალი საინვესტიციო პროექტის შედგენა - 120000 ლარი;

პრიორიტეტული საინვესტიციო სექტორების მხარდამჭერი პროგრამების შემუშავება და საინფორმაციო კამპანია დაფინანსდება - 100000 ლარი;

სამუშაო ძალის უნარ-ჩვევების კვლევა პრიორიტეტული სექტორების მიხედვით - 100000 ლარი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების, საინვესტიციო პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების კომისიის მიერ ქ.თბილისის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი დადებითად იქნა შეფასებული და მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნული პროექტი განხილულ იქნას ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უახლოეს სხდომაზე.

ნინო ლაცაბიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა

სხდომის თავმჯდომარე ნინო ლაცაბიძე